თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი
Freie Waldorfschule und Kindergarten Tbilissi

# თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და კონკრეტული აღმზრდელობით საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და პოზიციები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. შიდა და გარე პირობებიდან გამომდინარე პერიოდულად ხდება სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა.

2023-2030 წლებში ვალდორფის სკოლა გეგმავს იმუშაოს შემდეგი მიზნების მისაღწევად:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
   - საშუალო საფეხურზე პროფესიული პროგრამების დანერგვა მებაღეობა/სოფლის მეურნეობისა, კერამიკის, სადურგლო საქმისა და ლითონის მხატვრული დამუშავების მიმართულებებით.
   - სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის პორტფოლიოს შემუშავება;
   - სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.
2. ადამიანური რესურსის განვითარება;
   - პერსონალის კეთილდღეობაზე ზრუნვა - დაწესებულებაში თანამშრომლობითი საუბრების დანერგვა;
   - თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება და ვალდორფპედაგოგიურ სემინარებთან თანამშრომლობა.
   - ახალი კვალიფიციური კადრების მომზადება/მოზიდვა.

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
   - მულტიფუნქციური დარბაზის აშენება;
   - სპორტული მოედნის საფარის გამოცვლა;

GE-0186 თბილისი, თოფურიას ქუჩა №2, Topuria str. 2, GE-0186 Tbilissi, Georgien;
ტელ/ფაქსი.: 00995 32 2545403/00
ID Code 203827083
E-Mail: waldorfschule@waldorfschule.edu.ge;
www.waldorfschule.edu.ge

- სკოლის ტერიტორიის ღობის გამოცვლა.
- შენობის რეკონსტრუქცია ბიბლიოთეკის, სამასწავლებლოსა და სკოლის სასადილოს ფართობების გაზრდის მიზნით.

4. უსაფრთხო და ნდობით აღსავსე, დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
5. ორგანიზაციული განვითარება.
   - ავტორიზაციის გავლა;
   - მშობლებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერება, მათი ცნობიერების ამაღლების და ასევე მშობელთა მეტი ჩართულობის მიზნით.
   - პარლამენტის განათლების კომიტეტთან და განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობა ალტერნატიული პედაგოგიკის აღიარების პროცესის დასაწყებად.

**გრძელვადიან მიზნებზე პასუხისმგებელი ორგანოები და რეალიზების ვადები**

| გრძელვადიანი მიზანი | შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო და პოზიცია | რეალიზების ვადები |
|---|---|---|
| 1. პროფესიული პროგრამების დანერგვა | სკოლის გაძღოლის კონფერენცია;<br>ხარისხის მართვის ჯგუფი;<br>მაღალი კლასების კონფერენცია; | 2023-2025 წ. |
| 2. პორტფოლიოს შემუშავება | სასწ. პროცესის კოორდინატორი;<br>ხარისხის მართვის ჯგუფი; | 2025-2027 წ. |
| 3. აქტივობების დაგეგმვა - განხორციელება | სასწ. პროცესის კოორდინატორი;<br>კლასის მასწავლებლები;<br>კლასის მზრუნველები; | 2023-2030 წ. |
| 4. თანამშრომლობითი საუბრების დანერგვა | პედაგოგიური კონფერენცია; | 2024-2025 წ. |

GE-0186 თბილისი, თოფურიას ქუჩა №2, Topuria str. 2, GE-0186 Tbilissi, Georgien;
ტელ/ფაქსი.: 00995 32 2545403/00
ID Code 203827083
E-Mail: waldorfschule@waldorfschule.edu.ge;
www.waldorfschule.edu.ge

| | | |
|---|---|---|
| 5. კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები | სკოლის გაძღოლის კონფერენცია;<br>სასწ. პროცესის კოორდინატორი;<br>ხარისხის მართვის ჯგუფი; | 2023-2030 წ. |
| 6. მულტიფუნქციური დარბაზის აშენება | სკოლის გაძღოლის კონფერენცია;<br>კავშირის გამგეობა;<br>მშენებლობის ჯგუფი; | 2028-2030 წ. |
| 7. სპორტული მოედნის საფარის გამოცვლა | ტექნიკური მენეჯერი; | 2025 წ. |
| 8. ღობის გამოცვლა | საქმეთა მმართველი;<br>კავშირის გამგეობა;<br>ტექნიკური მენეჯერი; | 2028-2029 წ. |
| 9. შენობის რეკონსტრუქცია | სკოლის გაძღოლის კონფერენცია;<br>კავშირის გამგეობა;<br>მშენებლობის ჯგუფი; | 2025-2027 წ. |
| 10. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | სკოლის გაძღოლის კონფერენცია;<br>უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; | 2023-2030 |
| 11. ავტორიზაციის გავლა | სასწავლო პროცესის კოორდინატორი;<br>საქმეთა მმართველი;<br>ტექნიკური მენეჯერი;<br>გაძღოლის კონფერენცია;<br>კავშირის გამგეობა. | 2023 |
| 12. პარლამენტთან და სამინისტროსთან თანამშრომლობა | სკოლის გაძღოლის კონფერენცია. | 2024-2026 |